შიდა ქართლი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.645)

23-30 აგვისტო 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სასმელი წყალი მოსახლეობას სპეცტექნიკით მიეწოდება

ძლიერი გვალვის გამო, სოფელ ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ხორნაბუჯის, სამრეკლოს, გამარჯვების, მაჩხაანისა და მირზაანის რამდენიმე უბანს წყლის პრობლემა შეექმნა. იმ უბნებში, სადაც წყალი საერთოდ აღარ მოდის, მთავრობის ინიციატივით და გუბერნიის დახმარებით მოსახლეობა სასმელ წყალს სპეცტექნიკით (ავტოცისტერნებით) მიიღებს. სასმელი წყლის მიწოდებას, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ხორნაბუჯში, სამრეკლოში და გამარჯვებაში თავად დაესწრო. აღნიშნული სახის სამუშაოები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მანამდე გაგრძელება, სანამ წყლის პრობლემა არ მოგვარდება.

ირაკლი შიოლაშვილი: ვეცდებით, ყველა ფერმერის რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ

რთველის მოსამზადებელ სამუშაოებზე, გვალვით გამოწვეულ პრობლემებსა და რეგიონის წყალმომარგების მხრივ არსებულ ვითარებაზე, "ინტერპრესნიუსი" კახეთის რეგიონის გუბერნატორს, ირაკლი შიოლაშვილს ესაუბრა.

- ბატონო ირაკლი, როგორ ემზადებით რთველისთვის, თუ არიან ქარხნები მზად ყურძნის ჩასაბარებლად?

- ქარხნები ამ დროისთვის მზად არიან. რთველის დაწყებას ველოდებით დაახლოებით რამდენიმე დღეში. პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ჰქონდა მიდგომა, რომ წითელ ყურძენზე არ მომხდარიყო სუბსიდირება და თავისთავად იქნებოდა სულ მცირე ერთი ლარი, მაგრამ ყოველგვარი რისკი თავიდან რომ აგვერიდებინა, მაინც გადაწყდა, რომ 15 თეთრით, ამ მინიმალური თანხით მომხდარიყო სუბსიდირება. ეს იქნება გარანტი იმისა, რომ ყურძენს მინიმუმ იგივე ფასი ექნება, რაც იყო შარშან. წელს გაცილებით გაზრდილია მოთხოვნა. განსაკუთრებული მოთხოვნა იქნება წითელ ყურძენზე, საფერავზე. რაც შეეხება თეთრი ფერის ყურძენს, სუბსიდირებას სახელმწიფო აგრძელებს და ესეც იქნება მინიმუმ ერთი ლარი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრთან. მიმდინარეობს ყველანაირი საორგანიზაციო საკითხების დამუშავება. რთველი დაიწყება 10 დღეში და ვფიქრობთ, ის აბსოლუტურად უპრობლემოდ ჩაივლის.

- ატმის სეზონი უკვე დასრულდა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, რომ 4 ათას ტონაზე მეტი ატმის ექსპორტი განხორციელდა. როგორი იყო მოსავალი კახეთში და სახელმწიფო როგორ დაეხმარა გლეხებს?

- ჩემი, როგორც რეგიონის ხელმძღვანელის პოზიციაა, მაქსიმალურად მეტი დოვლათი შევიდეს ყველა გლეხის ოჯახში. ჩვენ როდესაც ვსაუბრობდით ატმის რეალიზაციის პროცესზე, გვეუბნებოდნენ, რომ შარშან ბევრმა ადამიანმა ვერ დაკრიფა ატამი, რადგან ფასი იყო იმდენად დაბალი, რომ საერთოდ თავი დაანებეს გლეხებმა ატმის რეალიზაციის საკითხს. მე მახსოვს, გუბერნატორად რომ მოვედი, პირველი კითხვა იყო ატამთან დაკავშირებული, თუ რას ვუზამთ ატამს? როგორ მოაგვარებთ ამ პრობლემას? მაშინ ვთქვი, რომ ატმის რეალიზაციის საკითხი იქნებოდა ისე, როგორც არასდროს არ ყოფილა საქართველოში. ყველას რატომღაც ჰქონდა ირონიული სახეები - ვერ მოაგვარებთ, ასეთი იყო დახლოებით მათი პასუხი.

წლევანდელმა წელმა დაგვანახა, რომ სწორი პოლიტიკის შედეგად თურმე შესაძლებელია ატმის რეალიზაციის აბსოლუტურად სწორი მიმართულებით დამენეჯმენტება, გატანა ექსპორტზე და საკმაოდ მომგებიან დარგად გადაქცევა. წელს დაახლოებით 80 თეთრიდან 1,30-ის ფარგლებში მერყეობდა ფასი. ეს არის ძალიან მაღალი ფასი იმისთვის, რომ ნებისმიერმა ფერმერმა იზრუნოს არამარტო კვლავწარმოებაზე, არამედ ახალი ბაღების გაშენებაზე.

- რამდენადაც ცნობილია, კახეთში სერიოზული პრობლემები შექმნა გვალვამ. უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა პრობლემებზეა საუბარი?

- ყველაზე დიდი პრობლემა, რაც გვაწუხებს, ეს არის საშინელი გვალვა მთლიანი რეგიონის მასშტაბით. თითქმის ყველა სოფელში დაშრა სათავე ნაგებობები, საიდანაც სოფლები წყლით მარაგდებოდა. მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება რომ არ მუშაობდეს პრაქტიკულად 24 საათიან რეჟიმში, გვექნებოდა სრული კატასტროფა კახეთის რეგიონში. ეს არის 24 საათიანი მუშაობის შედეგი, რომ ელემენტარულად არ არის კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა, რომელიც კახეთისთვის იქნებოდა დამღუპველი. მდინარეებში, მათ შორის ალაზანში, იმდენად არის წყლის დონე შემცირებული, რომ ერთ-ერთ ჩვენს საზღვრისპირა სოფელში საქონელმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასვლა მოახერხა. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ არის მდინარეში წყალი დაკლებული.

ყველა მუნიციპალიტეტში გამგებლები მუშაობენ 24 საათიან რეჟიმში. მინდა, მოვუწოდო ყველა ჩვენს მოქალაქეს, რომ მაქსიმალურად მოუფრთხილდნენ წყალს.

(გაგრძელება გვ.3)

უნარშეზღუდულებს საჩუქრად ეტლები გადაეცათ

გვ. 2

გიჟს ეძახდნენ,ცემდნენ, ქვებს ესროდნენ, იჭერდნენ,მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ლოცვას!

გვ. 4-5

შეწყვეტილი დახმარება

გვ. 3

თეთრი ნავთობის საბადო-ქართული ეკონომის მაშველი რგოლი?!

გვ. 6

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

საქართველო და სომხეთი ერთობლივად „მეგობრობის ხიდს“ ააშენებენ

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ერევანში, თავის სომეხ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

“შევთანხმდით, რომ კიდევ უფრო გავაღრმავოთ საქართველოს და სომხეთს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრობა. ჩვენ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა გავზარდეთ 46%-ით, ხოლო გასულ წელს 50%-ით, თუ შევადარებთ 2012 წელს და ჩვენ რა თქმა უნდა, ამას გავაგრძელებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის იმართებოდეს არა მხოლოდ უმაღლეს დონეზე შეხვედრები, არამედ კიდევ უფრო თუ გაღრმავდება დარგობრივ უწყებებს შორის თანამშრომლობა. ჩვენ ვისაუბრეთ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე და განვიხილეთ თანამშროლობის ფართო სპექტრი. მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ გვაქვს ტურისტთა ნაკადის ზრდის დადებითი ტენდენცია და შევთანხმდით, რომ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ კიდევ უფრო გავაღრმავოთ ეს ურთიერთობები”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მიღწეულ იქნა შეთანხმება და სომხეთი და საქართველო ერთობლივად ააშენებენ ხიდს. “დღეს მოვისმინე, რომ არსებობს ძალიან საინტერესო ინიციატივა, რომ ამ ხიდს ეწოდოს მეგობრობის ხიდი და რა თქმა უნდა, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით ამ ინიციატივას” , - დასძინა პრემიერმა.

სასჯელაღსრულების სამინისტრო მე-6 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მე-6 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

“2014 წლის 22 აგვისტოს ღამით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულებაში პატიმრების ბუნტი დაიწყო, გვინდა კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ ბუნტის მცდელობას დაწესებულებაში ადგილი არ ჰქონია. 22 აგვისტოს, ღამის პირველი საათისთვის მე-6 დაწესებულების ერთ-ერთ საკანში მსჯავრდებულებს შორის კონფლიქტი მოხდა. ერთ-ერთი მსჯავრდებული, რომელიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა, თანასაკნელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში გადაიყვანეს. ეტაპირება კანონის ფარგლებში მოხდა. პატიმრის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების ადმინისტრაცია იღებს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში პატიმრის გადაყვანა მიზნად ისახავდა სიტუაციის განმუხტვას და როგორც თავად გადაყვანილი მსჯავრდებულის, ასევე სხვა პატიმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სიმართლეს არ შეესაბამება, ასევე, დაწესებულებაში სპეცრაზმის შეყვანის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. დაწესებულების შიგნით წესრიგს ადმინისტრაცია იცავდა და იცავს, ხოლო დაწესებულების გარეთ შეკრებილი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის და არეულობის პრევენციისთვის გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია.

გვინდა საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ სამინისტრო ყოველ თავის ქმედებაში ემორჩილება კანონის უზენაესობას და შესაბამისად, კანონის ფარგლებში გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ პატიმრების ჯანმრთელობა და სიცოცხლე მაქსიმალურად დაცული იყოს”, - ნათქვამია განცხადებაში.

უნარშეზღუდულებს საჩუქრად ეტლები გადაეცათ

საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით და ამერიკული მხარის დაფინანსებით დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში მცხოვრებ უნარშეზღუდულ მოქალაქეებს საჩუქრად ეტლები გადასცეს. ეტლების გადაცემას, სოფელ ზემო ქედში, ქვემო ქედში და სამთაწყაროში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დედოფლისწყაროს თავმჯდომარე და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ექიმი ვანო ნატროშვილი ესწრებოდნენ.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 6.6%-ით გაიზარდა, ღორის სულადობა 34.6%-ით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის II კვარტალის ბოლოსთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 389 000 სული შეადგინა, რაც წინა წლის II კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.6 %-ით აღემატება. აქედან ფურის სულადობა 641 ათასია.

ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.5 %-ით გაიზარდა და 1 156 000 სულს მიაღწია.

შემცირებულია ღორის სულადობა და ის 210 ათასი სულია, რაც 34.6 %-თ ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ფრინველს, 2014 წლის II კვარტალის ბოლოსთვის ფრინველის რაოდენობამ 12 133 000 ფრთა შეადგინა, რაც 13.6 %-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს.

2014 წლის II კვარტალში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, რძის წარმოება 5.9 %-ით გაიზარდა და 221.7 მლნ. ლიტრი შეადგინა.

ხორცის წარმოება შემცირდა და 9.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.3 %-ით ნაკლებია.

2014 წლის II კვარტალში კვერცხის წარმოება 144.6 მილიონი ცალია, რაც წინა წლის ამავე კვარტალის მაჩვენებელს 9.4 %-ით აღემატება.

ზემოთაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები წინასწარია. საქსტატის ინფორმაციით დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი 2015 წლის 16 ივნისს გახდება.

ლევან ბაღაშვილი: მანქანის დაწვა სცადეს

19 აგვისტოს გვიან ღამით დედოფლისწყაროში, საკრებულოს წევრის, „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის, ლევან ბაღაშვილის ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს. ბაღაშვილი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. ადგილობრივი ხელისუფლება კი არ გამორიცხავს, რომ მომხდარში თავად „ნაციონალების“ ხელი ურევია.

შემთხვევის ადგილზე ექპერტ-კრიმინალისტები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო ანარმოებს. შსს-ს პრესცენტრის ცნობით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 187-ე მუხლით აღიძრა, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

„დედოფლისწყაროში ჩემ ავტომანქანას ვიღაც „ყოჩაღებმა“ ბენზინი გადაასხეს და დაწვეს, საინტერესო ბრძოლის მეთოდი ააჩიეს 90-იანებს მაგონებს.. წუხელ, დაახლოებით 01:30 საათზე გავიგეთ აფეთქების ხმა. თავიდან ვერ მივხვდი რა იყო, ჩემმა მეუღლემ დაინახა ცეცხლი. მანქანა ეზოს წინ მქონდა გაჩერებული, ოჯახის წევრებმა საკუთარი ძალებით შევძელით ცეცხლის ჩაქრობა. მანქანის მხოლოდ ერთი გვერდი დაიწვა გარედან, სადაც ბენზინი მიასხეს, შიგნიდან არ დაზიანებულა. სახანძრო და სასწრაფოც გამოვიძახეთ, საქმის აღძვრა მოვითხოვე. ამ ყველაფერს ღარიბაშვილს, თამაზაშვილს და მათ მაფიოზურ კლანს ვუკავშირებ. 2 წლის განმავლობაში გვემუქრებიან, ჩემი ძმა ორჯერ დააკავეს, შემომითვალეს, რომ რაიონიდან წავიდე და ბოლოს რომ ვერაფერს გახდნენ, ამ მეთოდს მიმართეს“, - განაცხადა ლევან ბაღაშვილმა.

იმ დღესვე დედოფლისწყაროში მომხდარი ფაქტი პოლიტიკური ბრალდებების მიზეზი გახდა. სულ მალე თბილისში, ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში ნუგზარ წიკლაურმა და ლევან ბაღაშვილმა ბრიფინგი გამართეს.

„შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ლევან ბაღაშვილის ძმა ორჯერ დააკავეს ვითომ ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო ორივეჯერ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ, გრძელდებოდა ინტენსიური მუქარა და დევნა ამ ოჯახის წევრების მიმართ, მათი გადაადგილების შეზღუდვა. ახლა უკვე, ხელისუფლება ამ მუქარის შესრულებაზე გადავიდა და ცეცხლი წაუკიდა მის კუთვნილ ავტომობილს. სამწუხაროდ, ეს არ არის ლოკალური პრობლემა, სხვადასხვა რეგიონებში ჩვენი პარტიის აქტივისტებს, თავმჯდომარეებს, წევრებს ზუსტად ასევე მუქარისა და აგრესიის პირობებში უწევთ ცხოვრება“, - განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ ეს თავდასხმები განპირობებულია ივანიშვილის პათოლოგიური შიშით მიხეილ სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

ლევან ბაღაშვილის განცხადებით, მისი ავტომანქანისთვის ცეცხლის წაკიდება შესაძლოა იმ ფაქტთან იყოს დაკავშირებული, რომ საკრებულოში უმრავლესობას მათ ნებაზე მოქცევის უფლებას არ აძლევს.

„ორი წლის განმავლობაში რაც ქედი არ მოვუხარე ღარიბაშვილების და თამაზაშვილების კლანს, იმის მერე არის ბევრი მუქარაც, შემოთვლაც, რომ უნდა გამამწარონ, უნდა დავტოვო რაიონი. ასეთი საუბარიც იყო, დაჭერის ვიცით რომ არ ეშინია, მაგრამ სხვანაირად მოვუღებთ ბოლოსო. მე მოვხვდი საკრებულოში, 2 წევრი ვართ, სამწუხაროდ ფრაქცია ვერ შევქმენით, მაგრამ ვარსებობთ და უფლებას არ ვაძლევთ, რომ ისე მოიქცნენ, როგორც მათ უნდათ. ამის გამოხატულებაა ის, რაც წუხელ მოხდა. ამით შეაშინეს ჩემი მეგობრები, ოჯახი და უნდათ, რომ მეც შემაშინონ“, - განაცხადა ბაღაშვილმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ოპოზიციის მიერ გამართულ პრესკონფერენციას დედოფლისწყაროში „ქართული ოცნების“ ლიდერი, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი გამოეხმაურა. ჯავახიშვილი ინციდენტს პროვოკაციად აფასებს და არ გამორიცხავს, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყოს დადგმული

„ბაღაშვილი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეა რაიონში და ამ პარტიისგან გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, თუ გადავხედავთ რაზე იყო წლების განმავლობაში აგებული მათი პოლიტიკური პიარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ლევან ბაღაშვილის წინააღმდეგ აღძრულია საქმე დიდი ოდენობის თანხების გაფლანგვაზე და წლების განმავლობაში ხალხის ძარცვის გარდა არაფერი გაუკეთებია, შესაძლოა, ეს თავის დაზღვევის მიზნითაც იყოს გაკეთებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ წლების განმავლობაში ბევრი ადამიანი ჰყავდა გამწარებული და აქედან გამომდინარე, ვერც ანგარიშსწორებას გამოვრიცხავთ, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. რატომღაც მჯერა, რომ ეს მათ მიერვე დადგმული სცენაა“, - განაცხადა ჯავახიშვილმა.

აფეთქების მსგავსი ხმა თავდაპირველად მისმა მეუღლემ გაიგო, რის შემდეგაც ოჯახს შეატყობინა. ცეცხლის ჩაქრობა მათ საკუთარი ძალებით მოახერხეს. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო სამსახური და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მომხდარს მასზე განხორციელებულ ზეწოლად მიიჩნევს და ფაქტის დაუყონებლივ გამოძიებას ითხოვს.

შეგახსენებთ, ლევან ბაღაშვილი 2008-10 წლებში დედოფლისწყაროს გამგებელი იყო, ხოლო 2010-12 წლებში დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხების შემდეგ 2012 წლის ნოემბერში ბაღაშვილი თანამდებობიდან გადადგა. მოგვიანებით ფრაქციებიც დაშალა.

ილია მარტყოფლიშვილი

შეწყვეტილი დახმარება

გამგებლის რეკომენდაციით, ხელახლა შეივსო ილურიძეების დეკლარაცია

2008 წელს საქართველოში განხორციელებული რუსული ინტერვენციის დროს სოფელ ერედვში გარდაცვლილი 18 წლის გოჩა ილურიძის ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტომ საარსებო შემწეობა შეუწყვიტა. დახმარების შეწყვეტა რატომღაც აგვისტოს თვეს დაემთხვა. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის მკვიდრი, ოთხი შვილის დედა მანანა ყაბანაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ სოციალური დახმარების შეწყვეტის შესახებ მიმდინარე წლის 4 აგვისტოს წერილობით აცნობეს. სოციალური მომსახურების სააგენტო მიზეზად მაღალ სარეიტინგო ქულებს ასახელებს.

შვილმკვდარი დედის განცხადებით, ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია, მათი ერთადერთი შემოსავალი ახლადდანიშნული პენსიაა და, შესაძლოა, დახმარება სწორედ ამ მიზეზით მოეხსნათ. სხვა მხრივ მათი ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

„მანამდე 55 000 ქულა გვეწერა, 2 ივლისს შემამოწმეს და პასუხი აგვისტოში მაცნობეს, რომ ახლა მაღალი ქულები მაქვს და სოციალურად დაუცველის სტატუსი მოგვიხსნეს. მინდა გავაპროტესტო, მაგრამ გვითხრეს თელავში უნდა წახვიდეო და ჩემს ოჯახს ეკონომიურად ძალიან უჭირს, 3 წლის წინ მეუღლეც დამეღუპა და ფინანსური შესაძლებლობა არ მაქვს რომ წავიდე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჩემი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა არაფრით შეცვლილა, ვერ ვხვდები რატომ მოვიდა მაღალი ქულები და რატომ მომიხსნეს დახმარება. 6 სული ვართ, არავინ ვმუშაობთ და არსებობაც გვიჭირს. 5 ქათამი და ერთი ძროხა გვყავს. ტელევიზორის გარდა, არანაირი ელექტრო ტექნიკა არ გვაქვს,“ — აღნიშნა გოჩა ილურიძის დედამ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, სოფელ ზემო ქედში მცხოვრებ ილურიძეების ოჯახს მიმდინარე წლის აგვისტოში 60 180 ქულა მიენიჭა, რაც 3 ათასი ქულით მეტია ზღვრულ რაოდენობაზე. როგორც ცნობილია, ფულადი დახმარება იმ ოჯახებზე გაიცემა, რომელთა სარეიტინგო ქულა 57 001—ს არ აღემატება.

შეგახსენებთ, გოჩა ილურიძე სავალდებულო სამხედრო სამსახურს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რეაგირების ჯგუფში იხდიდა. ჯარში გაწვევიდან 2 თვეში ის რუსეთ-საქართველოს ომში აღმოჩნდა და 2008 წლის 9 აგვისტოს სოფელ ერედვში კასეტური დაბომბვისას დაიღუპა. ილურიძე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედშია დაკრძალული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გმირის ოჯახისთვის ყოველთვიური საარსებო შემწეობის შეწყვეტის ამბის მედიით გახმაურების შემდეგ დაინტერესდა და ვითარების გარკვევა დაიწყო. როგორც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს ზურაბ ზურაშვილს ესაუბრა და გამგეობამ ილურიძეების ოჯახს უშუამდგომლა, რათა მათი სარეიტინგო ქულები დაითვალონ და სოციალურმა აგენტებმა ოჯახი ხელახლა გადაამოწმონ.

შუამდგომლობის მიუხედავად, რამდენიმე დღის შემდეგ, გოჩა ილურიძის დედამ მანანა ყაბანაშვილმა განაცხადა, რომ სოციალური სააგენტოდან კახეთის საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილე თეონა ქალდანის წერილი მიიღო, რის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ ამ ეტაპზე გმირის ოჯახს სოციალური დახმარება ვერ აღუდგება. აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად, სოციალური მომსახურების სააგენტომ არ დააკმაყოფილა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის შუამდგომლობა აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, გოჩა ილურიძის სოციალურად დაუცველი ოჯახის განმეორებით გადამოწმების და მათთვის საარსებო შემწეობის აღდგენის თაობაზე. მათი განმარტებით, ოჯახის ხელახლა გადამოწმება ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მოხდებოდა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საბრძოლო მოქმედებებისას გარდაცვლილ მარჩენალდაკარგულთა ოჯახებს 2013 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო კომპენსაცია ეძლევათ თვეში 500 ლარის ოდენობით. მანანა ყაბანაშვილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ეს გახდა სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი. თუმცა, ხელისუფლებისგან იყო პირობა, რომ ეს თანხა სხვა შეღავათების გაუქმების მიზეზი არ გახდებოდა.

მას შემდეგ, რაც გმირის ოჯახისთვის დახმარების აღდგენაზე ინფორმაცია მეორედ გავრცელდა, სოციალური მომსახურების სააგენტომ გოჩა ილურიძის ოჯახი 21 აგვისტოს ხელახლა გადაამოწმა. როგორც სააგენტოს დედოფლისწყაროს განყოფილებაში აცხადებენ, ხელახლა შეივსო ილურიძეების დეკლარაცია და სარეიტინგო ქულები ერთი თვის ვადაში დაითვლება.

სააგენტომ დედოფლისწყაროს გამგებლის შუამდგომლობის საფუძველზე გამონაკლისი იმ გარემოების გამო დაუშვა, რომ 18 წლის გოჩა ილურიძე 2008 წლის 9 აგვისტოს ერედვში რუსული ინტერვენციის დროს დაიღუპა და მან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევიდან 2 თვეში თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შესწირა.

ოთხი შვილის დედას, მანანა ყაბანაშვილს, ორი წლის წინ ავადმყოფობის შედეგად მეუღლეც გარდაეცვალა, რის შემდეგაც მათი საყოფაცხოვრებო პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. სამსახურის გარეშეა დარჩენილი გარდაცვლილი გმირის ძმა,

გიორგი ილურიძეც, რომელიც მანამდე საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გადიოდა. ამბობს, რომ რეინჯერად, სასაზღვრო, ან სამაშველო სამსახურებში დასაქმება სურს, თუმცა დამოუკიდებლად სამსახურის პოვნას ვერ ახერხებენ.

„დახმარების სათხოვნელად არავისთან მივსულვართ, ძალიან გვერიდება, არ გვინდა იფიქრონ, რომ ომში გარდაცვლილი შვილის სახელს ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ და ამიტომ ვაწუხებთ,“ - აცხადებენ ისინი.

აგვისტოს ომში მონაწილეობდა მანანა ყაბანაშვილის უფროსი ვაჟიც. ის საკონტრაქტო პირობებით მსახურობდა მე—4 ქვეითი ბრიგადის 42—ე ბატალიონში ყუმბარმტყორცნელად. 2009 წლის ივნისში სამსახურიდან სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად გაათავისუფლეს და მას შემდეგ უმუშევარია. გიორგის 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

„არცერთი შვილის ომში წასვლის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა, მითუმეტეს აღმოჩნდა, რომ ორივე იქ იყვნენ. ვითარების დაძაბვის შემდეგ სატელეფონო კავშირი ორივესთან მქონდა, დარეკვას 7 აგვისტომდე ვახერხებდით, მაგრამ მიმალავდნენ. ერთი ამბობდა საწვრთნელ ბაზაზე ვართ, მეორე რეკავდა თბილისში ვართო. 8 აგვისტოს უკვე ვეღარ ვეკონტაქტებოდით, ცხრაში გაგვაგებინეს, რომ გარდაცვლილი იყო. თუმცა, ვიდრე მოასვენებდნენ, ბოლო წუთამდე უფროს ვაჟს ვვარაუდობდი, რადგან ის კონტრაქტზე იყო. ვერც წარმომედგინა, რომ ჯარში ორი თვის წასულ გოჩას ცხინვალში წაიყვანდნენ. მე რაიმე ცუდი წინათგრძნობა არ მქონია, მაგრამ მეუღლე დილიდანვე იძახდა, ვერ ვარ კარგად, გული ცუდს მიგრძნობსო. პოლიციის უფროსმა გელა ბუნტურმა ითავა, ის ჩვენი სოფლელია და მათ ჩამოასვენეს ღამის სამ საათზე. სწორედ მათ ამოიცნეს, რომ გიორგი კი არა, გოჩა იყო გარდაცვლილი. ერედვში დაბომბვისას ოთხი ბიჭი გარდაიცვალა და ოთხივე კახეთიდან იყო, ახმეტა, ყვარელი და ორიც დედოფლისწყაროდან. დაღუპულები ჩალაუბნამდე პოლიციამ მოასვენა და იქიდან გაანაწილეს თავის რაიონებში. რაც შეეხება გარდაცვალებას, ერედვში შესვენება გამოაცხადეს, სამხედროების ნაწილი დაბლობში ჩრდილში ისვენებდა, ოთხნი კი ბორცვზე ყოფილან. დაინახეს, რომ თვითმფრინავები მოფრინავდნენ და დაუყვირეს დაწექითო. დაწვნენ, მაგრამ რუსების მიერ ჩამოყრილი ჭურვები არ აფეთქდა და ისევ ადგნენ, რის შემდეგაც აფეთქება მოხდა და ოთხივე დაიღუპა. რომ არ ამდგარიყვნენ, შესაძლოა, ამხელა შედეგი არ მოეტანა,“ - აცხადებს გმირის დედა.

გარდაცვლილი გმირის კიდევ ერთი არასრულწლოვანი ძმა მამის გარდაცვალების შემდეგ მარჩენალდაკარგულის პენსიას იღებდა 100 ლარის ოდენობით, თუმცა, რადგან სამი თვის საარსებო შემწეობა წინასწარ აქვთ გამოტანილი, ამის გამო ბანკი მარჩენალდაკარგულის პენსიას აღარ აძლევს.

ილია მარტყოფლიშვილი

ირაკლი შიოლაშვილი: ვეცდებით, ყველა ფერმერის რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება ზარალს, ზარალი საერთო ჯამში იქნება, თუმცა რა რაოდენობის, ამას ჯერ ვერ გეტყვით. ჩვენ სოფლის მეურნეობის მინისტრთანაც დეტალურად განვიხილეთ ყველა ასპექტი. მთავრობა ამ საკითხზე მუშაობს და ვეცდებით, მინიმუმადე დავიყვანოთ ყველა ფერმერის რისკი. ამისთვის საჭიროა იმ გზების გამოძებნა, რომ თავიდან ავირიდოთ მომავალში მსგავსი ფაქტები.

პირველი, რაც ზარალის გამომწვევია, არის გვალვა და მეორე - სეტყვა. იმისთვის, რომ სეტყვა აღარ მოხდეს, საჭიროა, კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები დამონტაჟდეს. ამისთვის მთავრობამ უკვე გამოყო 20 მილიონ ლარზე მეტი და მომავალ გაზაფხულზე უკვე კახეთის რეგიონს მთლიანად მოვიცავთ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებით. ამავე დროს სეტყვასთან და ზარალთან მიმართებაში მთავრობას აქვს შემუშავებული განსაკუთრებული დაზღვევის სისტემა, რომელიც უახლოეს პერიოდში დამტკიცდება მთავრობის სხდომაზე. ეს სისტემა მოიცავს მთავრობის მხრიდან თანადაფინანსებას იმ ფერმერებისა, რომელიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში და აქვთ გარკვეული რისკები. რაც შეეხება მეორე ასპექტს, რომელიც არის გვალვასთან დაკავშირებული, ამასთან მიმართებაში ერთადერთი გამოსავალი არის სარწყავი სისტემების აღდგენა. რამდენიმე ათეული წელია, სეტყვის პრობლემა, სარწყავი სისტემა საერთოდ არც ერთ მთავრობას არ მოუკითხავს. ჩვენ ვართ პირველი მთავრობა, რომელიც ღიად ვაცხადებთ, რომ ჩვენი პრიორიტეტი არის სარწყავი სისტემების აღდგენა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მომავალი წლიდან ინტენსიურად დაიწყებს სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია-აღდგენას და მინიმუმ დავუბრუნდებით იმ საწყის ეტაპს, სადაც ვიყავით რამდენიმე ათეული წლის წინ, როცა ირწყვებოდა გაცილებით უფრო დიდი ფართობები, ვიდრე დღეს გვაქვს რეალობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მილები წინა ხელისუფლებების დროს მთლიანად ამოღებულია და ჯართშია ჩაბარებული, რკინამასალად არის გასული ქვეყნიდან, ჩვენ ვეცდებით და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ მთლიანად აღვადგინოთ ეს სისტემები.

- ბოლო პერიოდში კახეთის სხვადასხვა სოფლებში იმართებოდა აქციები სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებით. როდისთვის შეიძლება ეს პრობლემა მოგვარდეს?

- ყველაზე მთავარი არის ის, რომ სადაც აქციები იმართებოდა, ხშირ შემთხვევაში, ეს იყო ხელოვნური. ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ - მიმდინარეობდა სამუშაოები და ყველა მუნიციპალიტეტის ხელმღვანელი ტრიალებდა იმ სოფელში, რომ ეს პრობლემა გადაეწყვიტათ, მაინც ხდებოდა ხელოვნურად ვითარების პროვოცირება. მე ვადასტურებ, რომ პრობლემები ნამდვილად იყო. მაგრამ ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი მოქალაქეები გაგებით მოეკიდონ იმ საკითხს, რომ მთავრობა, ადილობრივი ხელისუფლება, ისევე როგორც გუბერნია მაქსიმუმს აკეთებენ, რათა ყველა სოფელს ჰქონდეს ალტერნატიული წყლები.

სასმელი წყლის პრობლემა დღესაც არის ცალკეულ უბნებში, თუმცა ისე, რომ სოფელს საერთოდ არ ჰქონდეს წყალი, ნამდვილად არ არის.

თეა ბითაძე
„ინტერპრესნიუსი“

გიჟს ეძახდნენ, სცემდნენ, ქვებს ესროდნენ, იჭერდნენ, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ლოცვას!

მამა სოლომონის ცხოვრება

ბიბლიის მიხედვით -„რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს“. ნამდვილი რწმენა ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, რწმენა ნდობისა და დარწმუნებისგან შეკრული ჯაჭვია, ნამდვილი რწმენა მხოლოდ გულიდან უნდა მომდინარეობდეს – ყოველი ზრახვის საგანძურიდან. ნათქვამია: „გულით სწამთ“, რაც ნიშნავს იმას, როცა ღრმად ვუფიქრდებით ყოველივეს, რაც ღვთისგან მომდინარეობს და ჩვენში მადლიერება იზრდება.

ალბათ ყველას გახსოვთ, სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში მოღვაწე მამა სოლომონი (ბოსტაშვილი). გვახსოვს ისიც, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება ადამიანებისგან დევნაში გაატარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დუმდა და ღვთის უდიდესი რწმენით იტანდა ყველაფერს. დევნიდნენ იმიტომ, რომ დრო იყო ასეთი, ხალხი სიბნელეში ცხოვრობდა, მამა სოლომონის სწორი და ნათელი გზის კი, მაშინ ცოტას ესმოდა. დღეს, როცა დედოფლისწყაროში მრევლმა იმრავლა და გაძლიერდა, უკეთ ესმით მამა სოლომონის ფასი. ბევრი ადამიანი სიყვარულით იხსენებს და ამბობს, რომ სათანადოდ ვერ დააფასეს მამა სოლომონი. დიახ, დღეს ჩვენი საზოგადოება სინანულშია მამა სოლომონის წინაშე და ეს სწორიცაა. თუმცა, ალბათ ყველაფერი განგებისგან მოდის,ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება, რომ ცხონებულიყო. წლევანდელ წელს მამა სოლომონი იუბილარია, მას დაბადებიდან 100, ხოლო დიაკვნად და შემდეგ მღვდლად კურთხევიდან 36 წელი შეუსრულდა.

მამა სოლომონი დღეს ცოცხალი აღარაა, იგი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მის შესახებ ადამიანებმა იციან მხოლოდ ის, რომ იგი სოფელ ჯაფარიძეში ცხოვრობდა და ამავე სოფლის ტაძარში მსახურობდა, იციან ის, რომ დადიოდა წვერმოშვებული,ფეხშიშველი, ტანზე შავი ანაფორით შემოსილი კაცი, რომელსაც გულზე ჯვარი ეკიდა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რა მძიმე დღეები გადაიტანა მამა სოლომონმა, სიცოცხლის მანძილზე თავისი ღვთისმსახურების და ღვთის სიყვარულის გამო.

სწორედ ამიტომ, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა, მამა სოლომონის ცხოვრებას უფრო ახლოს გაცნობოდა და ჩვენი მკითხველისთვის ისეთი დეტალები მიგვეწოდებინა, რომელიც, შესაძლოა, აქამდე ბევრისთვის უცნობი იყოს. ამ მიზნით ჩვენ სოფელ სამრეკლოში მის შვილს მარინა ბოსტაშვილს ვეწვიეთ. ქალბატონი მარინას მონაყოლმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, სოლომონის ისტორია მართლაც შემზარავია და მოწამეობრივ ცხოვრებას უტოლდება, აშკარაა, მას ქრისტე ღმერთი მთელი შეგნებით უყვარდა. ამიტომ გადაჭარბებაში არ ჩამომართმევთ ალბათ, თუ ვიტყვი, რომ მისი ცხოვრება ძალიან ახლოსაა და ენათესავება ისეთი წმინდანების ცხოვრებას, როგორებიც იყვნენ მამა გაბრიელი, ბერი პაისი და სხვები.

აი, რას ყვება ქალბატონი მარინა მამაზე: თავად ზემო მაჩხაანიდან იყო, სამნი ძმანი იყვნენ, გაყრისას ძმებმა, რატომღაც, ზედაშის ქვევრი ამოიღეს და, ჩვენდა გასაოცრად, ამ ქვევრზე მოსვლიათ დავა. ქვევრი გატეხილა და მამას დამუნჯებასაც სწორედ ამას უკავშირებენ. წლები გასულა და ურჩევიათ, მთავარანგელოზის ეკლესიაში შესაწირი შეეწირათ, მართლაც წასულან, შესაწირი შეუწირავთ და სასწაული მომხდარა, სოლომონს ენა ამოუდგამს, თუმცა ამ ამბიდან მაინც მისთვის დამახასიათებელი თვისება დუმილი და სიჩუმე დარჩა. იშვიათად საუბრობდა, ძალიან იშვიათად.

- თავდაპირველად მამა „ნავთობბაზაში“ მუშაობდა თურმე, ოთხი შვილი - სამი ბიჭი და ერთი გოგო ვყავდით და ისევე, როგორც მაშინდელი ხალხი, მამაც რწმენის მიმართ ცოტა მწყარალად ყოფილა, მაგრამ შემდეგ მასში დიდი გარდატეხა მომხდარა. ეს დედის მონაყოლიდან ვიცი. ერთხელ ცუდად გამხდარა, იყვირეს, იწივლეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს, ყველამ ჩათვალა, რომ გარდაიცვალა და დაკრძალვის ცერემონიალის სამზადისს შესდგომიან, ერთი დღე და ღამე უსულოდ ყოფნის მერე, მამას ამოუხველებია და სუნთქვა დაუწყვია, დედას ეს რომ შეუნიშნავს, ყველასთვის შეუტყობინებია და დაკრძალვაც გაუუქმებიათ. ხელები და ფეხები აუმოძრავებია, მდგომარეობიდან მალე გამოსულა, თუმცა წელიწადი და ექვსი თვე ლოგინად უგონოდ ყოფილა ჩავარდნილი. ერთი წლის და ექვსი თვის მერე მამა გამოსულა მდგომარეობიდან და რომ აღარავინ ელოდა მის ფეხზე დადგომას, იგი ფეხზე წამომდგარა. დედას მუდმივად ჰქონდა განცდა, რომ ამ ლოგინობის და გათიშული მწოლიარობის დროს მასში დიდი გარდატეხა მოხდა, გრძნობდა, რომ მან ისეთი რამ ნახა კლინიკური სიკვდილის დროს, რომ მამა რწმენისკენ ძალიან დიდი გულით შემობრუნდა. ის თუ რა ნახა მამამ ამ წელიწადნახევრიანი მწოლიარობის დროს, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ დღემდე უცნობია ჩვენთვის, არავისთვის გაუმხელია, მაგრამ სწორედ ამ ამბის შემდეგ მამა უტოვს დედას წერილს, -„მე არ მომძებნოთ, უნდა წავიდე, უფალი მეძახისო“, და წასულა. რეალურად მას ჩვენი რაიონის ახლომახლო ტაძრები ჩოქვით შემოუვლია და მოულოცნია, ამ მოლოცვას მან ორი წელი მოანდომა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებულა სახლში. მას შემდეგ დაუწყვია ხატების და ლოცვანების მოგროვება და სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში აქტიური სიარული, ის თითქმის იქ აღამებდა და ათენებდა, ისე, რომ ტაძარი მისი ერთადერთი სასიარულო ადგილი გამხდარა. ასე იყო მისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე.

1978 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბოდბის მონასტერში დიაკვნად აკურთხა, ხოლო შემდეგ წლებში - უკვე მღვდლად. მართალია, ხალხი ჭორაობდა, რომ ის მამაო არ იყო და აქედან გამომდინარე, მის ღვაწლს არაფრად აგდებდნენ, მაგრამ მაშინდელ უღმერთო ქვეყანაში მამას რწმენისადმი უღალატობა, დიდი გმირობის და გამბედაობის ტოლფასი იყო, მაგრამ მამა არავის არ ერკინებოდა, მამას ამ საქციელს საკუთარი გული კარნახობდა. მის გულის მოსაკლავად იმასაც ამბობდნენ, არაფერი არ იყო და ტყუილი მორჩილი იყოო, მაგრამ ის კი ყველამ იცის, რომ ჩვენს უწმინდესს ის ძალიან უყვარდა და მუდამ კითხულობდა, მუდამ ეგულებოდა ამ ადგილზე მამა სოლომონი. როცა მოიკითხავდნენ - როგორ ხარ მამაო, მამა პასუხობდა: მე მამაო არა ვარ, მე ამ ტაძრის დარაჯი ვარო. ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს მისი მომკითხავი და მისთვის მკურნალობის თანხის მომწოდებელი მხოლოდ უწმინდესი იყო. სულ ტაძრის გზაზე იდგა საცოდავი, ყველაზე ძლიერ თოვლშიც კი არ ზოგავდა თავს. ერთხელ ძალიან მაღალ თოვლში ადგა დილით და მიდიოდა ტაძარში. ვუთხარით, დარჩი, მამა, დღეს მაინც ნუღარ წახვალო, ვინ იქნება იქ, რა ძალა გადგია, ძალიან ცივაო, - მან გვიპასუხა: არა, უნდა წავიდე, მე იქ ხატები მელოდებიანო. მისი ერთადერთი ოცნება იყო სერაფიმე საროველის ტაძარი ამოქმედებულიყო, სოფელს ტაძარი აქვსო და როგორ შეიძლება არ მოქმედებდესო, იბრძოდა იმისთვის, რომ ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ხომ მოესწრებიან იმას, რომ ტაძარი გაძლიერდესო. ეს იმ დროს, როცა ხალხს არ ესმოდა მისი და გიჟს ეძახდნენ, სცემდნენ, ქვებს ესროდნენ, იჭერდნენ, და ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ. 10-15 დღე პოლიციაშიც ამწყვდევდნენ, ყველა ებრძოდა, მთავრობის ხალხიც და უბრალო მაცხოვრებლებიც მასხარად იგდებდნენ. მაგრამ მამას მათი ცინიზმი არ აწუხებდა, ის ამ ყველაფერს არად დაგიდევდათ და უთქმელად მისდევდა თავის მთავარ მოწოდებას-ღვთის სიყვარულს და მისადმი ერთგულებას.

- „ცოტა ხანს მცხეთაში იყო წასული დედათა მონასტერში, იქ ნახა და გაიცნო დღევანდელი დიდი წმინდანი მამა გაბრიელი. როცა მამა გაბრიელის ცხოვრებას ვკითხულობდი,

(გაგრძელება გვ.5)

გიჟს ეძახდნენ, სცემდნენ, ქვებს ესროდნენ, იჭერდნენ, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ლოცვას!

მამა სოლომონის ცხოვრება

(მეოთხე გვერდიდან)

ვტიროდი ხოლმე, შვილი მეკითხებოდა, რა გატირებს, დედაო, უამრავ მსგავსებას ვხედავდი მამა გაბრიელის და მამა სოლომონის ცხოვრებაში და ამიტომ მეტირებოდა, ისიც ფეხშიშველი დადიოდა მუდამ, ისიც არ იბანდა ხელ- პირს, იშვიათად იხედებოდა სარკეში, თმებსაც არ ივარცხნიდა. ისიც მოწამებრივად ცხოვრობდა, ფაქტიურად მამა სოლომონის ცხოვრება წამებაში გაილია.

მიუხედავად ამდენი დევნისა, მუდამ მხნედ იყო, რწმენას არ კარგავდა. იგი ბოდბის მონასტრში და მცხეთის მონასტრში ყოფნისას დაუმეგობრდა მამა ხარლამპს და პართენს, რომლებმაც მისცეს საღვთო წიგნები, (მაშინ ძნელად იშოვებოდა საღვთო წიგნები) და ამ ლიტერატურას გულდასმით ეცნობოდა.



უამრავი ვიწვალეთ თავად მისმა შვილებმაც, მამას სურვილი რომ აგვესრულებინა, გავაკეთეთ ხალხის სია, წავიღეთ საპატრიარქოში, საპატრიარქომ ნება დაგვრთო, მაგრამ მაშინ ასე იოლად არ ხდებოდა ტაძრების ამოქმედება, ნება მოსკოვს უნდა დაერთო, მაშინ გაზეთში გამოქვეყნდა და წავიკითხეთ ასეთი ინფორმაცია, გორბაჩოვმა თავის მეუღლეს, რაისას ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გაუხსნაო. იმედი ჩაგვესახა და წავედით მოსკოვში ნებართვის წერილის მოსაპოვებლად. . მართლაც ჩვენმა და პატრიარქის დიდმა ძალისხმევამ თავისი შედეგი გამოიღო და 1988 წელს 22 დეკემბერს რუსეთის კულტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოფელ ჯაფარიძეში არსებული ერთ-ერთი ტაძარი, რომელიც სერაფიმე საროველის სახელობისაა, ამოქმედებულიყო. წერილი ხელზე მივიღეთ. ეს მამასთვის დიდი სიხარული იყო. 1989 წლის 9 ივლისს უწმინდესი ჩამოვიდა თავად სამრეკლოში და ტაძრის გახსნა ოფიციალურად აკურთხა. აქვე მოხდა მამას მღვდლად კურთხევაც. სწორედ მაშინ ეკურთხა დედოფლისწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ადგილიც. 20 წელი გაატარა ამ ტაძარში მამამ გაჭირვებით. არც შეშა, არც გათბობა მისთვის არ არსებობდა. პირიქით, მისთვის იყო მხოლოდ გვემა, ცემა, დევნა და შეურაცხყოფა ხალხისგან. რამდენჯერ მოსულა ნაცემი სახლში და რამდენჯერ დამწოლია გულზე სევდად მშობელი მამის ასეთი ყოფა, ვიტანჯებოდით მისი ყურებით, ბევრჯერ ამის ჩამდენებზეც განვრისხებულვართ, მაგრამ თავად ყველას პატიობდა, - შეეშვით, მე უკვე ვაპატიე გულში მათო, არ ბრაზობდა არცერთ მათგანზე.

ხშირად ვეტყოდით ხოლმე, მამა სულ ეკლესიის გზაზე დგახარ, თითქმის იქ ცხოვრობო და რომ მოკვდები, სად დაგმარხოთ, ეკლესიაში უნდა დაგკრძალოთო! ამაზე მისი პასუხი ასეთი გახლდათ, -ამიღეთ და სანაგვეზე გადამაგდეთო, ჩემი ხორცი სად იქნება, არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ჩემს სულს ღმერთი სად წაიღებსო, თორემ ხორცი ლეშია და სხვა არაფერიო. როცა დაიღუპა, პატრიარქს შევატყობინეთ, მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ტაძრის ეზოში დაგვესაფლავებინა, ისედაც სულ ამ ტაძრის დარაჯს ეძახდა თავსო და დაე, ასე „დარაჯად“ დარჩეს ამ ტაძრის ეზოშიო.

ბოლოს ორი კვირით რომ გამოამწყვდიეს პოლიციაში, მაშინ მიიღო გადაწყვეტილება და თავი ელია თეზბიტელის გამოქვაბულს შეაფარა, იქ ხარლამპთან ერთად იმალებოდა და სულ ფეხშიშველი ადიოდა. მერე ის ხარლამპი წავიდა და მამა მარტო დარჩა ელიის გამოქვაბულში. სულ ფეხშიშველს აქვს აზიდული იქ ქვები, შეშასაც ეზიდებოდა სითბოსთვის. იქ გამოიზამთრა ორი სეზონი. მის სამალავის ადგილასაა სწორედ დღეს აღდგენილი ელიის ტაძრის სამლოცველო დარბაზი.

სიკვდილიც უბედური დასდგომია საწყალს. მისი გარდაცვალების ბოლო დღეები მართლაც მძიმე და მოწამეობრივი აღმოჩნდა. ბოლოს ის სოფლის ცენტრში, ეგრეთწოდებულ ბირჟის უსაქმურ ბიჭებს უთრევიათ.-„თურმე სცემეს, წიხლები ურტყეს, კიბეზე გადააყუდეს, პირი ძალით გაახსნევინეს და პირში ბალახ-ბულახის ცხელი ნახარში ჩაასხეს. დღესაც თვალწინ მიდგას, როგორი განადგურებული მოვიდა მაშინ მამა, პირი ეწვებოდა, საშინლად ცუდად გახდა, დღესაც არ ვიცით კარგად, რა ნახარში ჩაასხეს პირში, მაგრამ ის ექცა სიკვდილის მიზეზად. ბოლოს ჩვენთან ერთად საჭმელადაც ვეღარ ჯდებოდა, რცხვენოდა თავისი შეუხედავობის, ტკივილებისგან საჭმელსაც ვეღარ ჭამდა წესიერად, ღრმა მოხუცებულს ყველა კბილი საღად რომ ქონდა შერჩენილი, რამდენიმე დღეში სათითაოდ დასძვრა,ბოლოს კი ლოგინად გაუსაძლისი ტკივილებით ჩავარდა და მიიცვალა. ტკივილების გამო ექიმთან მინდოდა წამეყვანა, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ექიმის არ სწამდა, მას მხოლოდ საკუთარი რწმენის და ღმერთის იმედი ჰქონდა. გაუსაძლისი ტკივილების დროს დიტო ექიმი მოვიყვანე და ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავაკეთებინე, მაგრამ გაბრაზდა და მითხრა, შეცდომა დაუშვი, რომ ეს გაკეთეო, ექიმი კი არა, წადი და მამა ნიკოლოზი მომიყვანე, რომ სიკვდილის წინ მაზიაროსო. მართლაც მოვიყვანე მამა ნიკოლოზი და აზიარა. ახლა კი მშვიდად წავალო, ღმერთი თავისთან მეძახისო- ეს თქვა და მეტის თქმის თავი რომ აღარ ჰქონდა,ხელი დამიქნია,შემდეგ გულზე ხელი დაიდო და მერე ის ხელი თავზე დამადო. როგორც ჩანს, ეს დალოცვის ნიშანი იყო.“

მამა სოლომონს ოთხი შვილი,- სამი ბიჭი, ერთი ქალი, ცხრა შვილიშვილი, ექვსი შვილთაშვილი დარჩა.

ისიც გავიგეთ, რომ ოცი წლის მანძილზე ის სალოსი იყო, რაც ნიშნავს, რომ ის არც თავს იბანდა და არც თმებს ივარცხნიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის გასაოცრად სუფთა სხეულით წავიდა ამქვეყნიდან...

მამა სოლომონის გარდაცვალების დღეს სოფელ სამრეკლოს ერთ-ერთ მკვიდრ ქალბატონს ღამე გარეთ გამოუხედავს და დაუნახია, რომ მამა სოლომონის საცხოვრებელი სახლის ზემოთ დიდი შარავანდედის ნათელი სხივები იდგა, მაშინ იმ ქალბატონს თავის ოჯახის წევრებისთვისაც კი მოუხმია და დაუნახვებია. ოჯახის ყველა წევრმა დაინახა, რომ ცეცხლივით აბრიალებული ნათელი სხივი მართლაც სოლომონის სახლის თავზე იდგა. მეორე დღეს გაიგეს, რომ იმ ღამით მამა სოლომონი გარდაიცვალა და მაშინვე ქალბატონი მარინასთვის უამბიათ ეს სასწაული.

საცოდავია ადამიანი, ვინც რწმენის გარეშე დადის ამქვეყნად, მაგრამ კიდევ უფრო საცოდავია, ის, ვინც მორწმუნე ადამიანს ეშმაკს ამოფარებულ მტარვალად ევლინება და საშინელ დევნას ახორციელებს მის მიმართ. მამა სოლომონი ჩვენი საზოგადოებისგან მოსაფრთხილებელი და ხელიხელ საგოგმანებელი ადამიანი იყო, თუმცა საზოგადოებამ მისი ვერ გაიგო, რაც ისევ და ისევ ჩვენ გვიტოვებს სევდის და ღრმად ჩაფიქრების საფუძველს. ჩაფიქრების, იმიტომ, რომ უფალმა ჩვენ შუამავალი გამოგვიგზავნა მისი სახით, ჩვენ კი ის არ მივიღეთ ისეთი, როგორიც იყო. უფალმა იცის და ის განსჯის მხოლოდ, რომ მამა სოლომონი ნამდვილად წმინდა, გულით ღვთისკაცი იყო, რომელმაც უამრავ გამოცდას გაუძლო და მოწამეობრივად იცხოვრა იმისთვის, რომ სხეულითაც და სულითაც ღმერთს მსახურებოდა.

მამა სოლომონი პატრიარქის ბრძანებით ბოდბის ეპარქიამ და ჩვენმა მამა ნიკოლოზმა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახლადაშენებულ ტაძარში დაასვენა, პარაკლისი გადაუხადა და დიდი პატივით სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის ეზოში დაკრძალა.

წელს, სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის გახსნიდან 25 წლის იუბილე აღნიშნეს, ახდა სოლომონის ყველაზე სანუკვარი სურვილი და მთელი მისი ცხოვრების ოცნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ამ დღეს ვერ შეესწრო, ვერ შეესწრო იმას, რომ სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში დღეს წირვა- ლოცვა აღევლინება და უამრავი მორწმუნე თანასოფლელი იყრის იქ თავს. მწამს, რომ ახლა მისი სული ცაში ზეიმობს.

ლალი მეხრიშვილი

თეთრი ნავთობის საბადო-ქართული ეკონომის მაშველი რგოლი?!

სასმელი წყლის ბიზნესის განვითარების გეგმა წარსულშიც არსებობდა

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს განვითარების არანაკლები ეკონომიკური პოტენციალი აქვს, ვიდრე ნავთობის მწარმოებელ რომელიმე ქვეყანას! კლიმატის გლობალური ცვლილების გამო მსოფლიოს უდიდეს ნაწილში უკვე სასმელი წყლის დეფიციტია. სპეციალისტები პრობლემის დამძიმებას ახლო მომავალში ვარაუდობენ. შესაბამისად, ქვეყნები, რომელთაც წყალი აქვთ, ეკონომიკურად (არა მარტო) მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. თუმცა, შესაძლოა, საფრთხეც დაემუქროთ, თუნდაც საქართველოს, რადგან წყლის გამო დიდი იქნება ცდუნება, დაინტერესებულმა ძალებმა ჩვენი ქვეყანა მკაცრი კონტროლისა და გავლენის ქვეშ მოაქციონ.

საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების უმსხვილესი მარაგები აქვს, თუმცა, არსებული რესურსების 1%-საც არ მოიხმარს. ამასთან, არც წყლის ბიზნესის ეფექტური განვითარების პროექტი არსებობს. რა გვაქვს, როგორ შეიძლება დავაკმაყოფილოთ უპირველესად საკუთარი თავი და რა შეიძლება შევთავაზოთ მსოფლიოს?

XXI საუკუნის დამდეგს, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროს, მომზადდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელშიც პრიორიტეტული იყო სასმელი წყლის ბიზნესის განვითარება.

"შორს არ არის ის დრო, როდესაც მტკნარი სასმელი წყალი ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება. შეუქცევადი ცვლილებები, ევროპული მტკნარი წყლის წყალსატევების გამოფიტვა, მოსახლეობისა და, შესაბამისად, წყალზე მოთხოვნის ზრდა, კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ნალექების კატასტროფული შემცირება და, თავის მხრივ, სასმელი წყლის დეფიციტი 5 (ცენტრალური ევროპა) - 25 (სამხრეთი ევროპა და ხმელთაშუა ზღვის სარტყელი) პროცენტის ოდენობით, წყლის აპოკალიფსს მოასწავებს. 2025 წლისთვის სასმელი წყლის დეფიციტი მოიცავს მთელ ევროპას, დღესაც კი ევროპის მოსახლეობის 80% მარაგდება ზედაპირული წარმოშობის სასმელი წყლით, რომლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური თვისებები და სისუფთავე არ აკმაყოფილებს სასმელ წყალზე მოთხოვნას. ეს გარემოება კიდევ უფრო რთულდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, სამრეწველო და ფეკალური წყლითა და სასოფლო-სამეურნეო ნიტრატებით სასმელი წყლის დაბინძურების შედეგად... ახალი ათასწლეულის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და ევროკავშირმა შეიმუშავეს სასმელი წყლის სტანდარტები. ევროპული ქვეყნების უმრავლესობას, კერძოდ, სამხრეთ ევროპის ქვეყნებს, არ შეუძლიათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. სასმელ წყალს კი პირდაპირი ზეგავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, ან კარგი ხარისხის წყლის მდგრადი მიწოდების პრობლემა გადაიჭრება ევროპაში, ან 2020-2025 წლებისთვის ევროპა თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უმწვავესი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდება", - ვკითხულობთ დოკუმენტში.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების

მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია აცხადებს, რომ წყლის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი გახდა წინა ხელისუფლების საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა. "ახლა, როცა ვატარებთ მონიტორინგს სრული სურათის შესაქმნელად, თუ რა სიმდიდრე, სასმელი წყლის რა რესურსი აქვს სახელმწიფოს, ვხვდებით ჯგუფებს, რომელთაც სასმელი წყლის ექსპორტის განვითარების ინდივიდუალური ხედვები აქვთ. მათგან ვიგებთ, როგორ გულგრილად ექცეოდა წინა ხელისუფლება წყლის ბიზნესის საკითხს. როგორც კი ექსპორტის თემაზე იწყებოდა საუბარი, თურმე პირველი პირები კითხულობდნენ, ჩვენ რას მივილებთო? ასეთმა მიდგომამ, სამწუხაროდ, ბევრი პოტენციური პარტნიორი დააფრთხო. სამწუხაროდ, არავის აქვს იურიდიული მტკიცებულება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები კორუფციულ გარიგებებს ითხოვდნენ.

20 ჭაბურღილზე გოლოდროინდელმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩვენი წყალი არის უმაღლესი ხარისხის, იმდენად მაღალი სტანდარტისა და გემოს მქონე, რომ ბევრ ცნობილ პრემიუმ-ბრენდსაც ავჯობებს. წყლის ხარისხი სალაპარაკოც არ არის, ახლა მთავარია ბაზრებზე შესასვლელი დაბრკოლებები გადავლახოთ. ეს იოლი არ არის, რადგან ზოგიერთი ქვეყანა მკაცრად აკონტროლებს, ფაქტობრივად, მონოპოლიურ ნიშებს.

შექმნილია სახელმწიფო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელიც იკვლევს, რა არის გასაკეთებელი ქართული წყლის საერთაშორისო ბაზარზე გასატანად. შარშან ჭაბურღილების მონიტორინგი განახლდა. 3800 ჭაბურღილი დაგვრჩა კომუნისტებისგან. ბოლო 23 წელია, არავის შეუსწავლია მათი მდგომარეობა. თითოეული შემოწმება დიდ თანხებს ითხოვს. 20 ჭაბურღილიდან მიღებული შედეგის მიხედვით, საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად ვაყალიბებთ წყლის ექსპორტის სტრატეგიას".

თემურ მურღულია უტოპიურს უწოდებს შევარდნაძის მთავრობის დროინდელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით ევროპასთან დამაკავშირებელი სასმელი წყლის მილსადენის მშენებლობას. მილსადენით შორ მანძილზე გასვლის დროს წყალი ბუნებრივ თვისებებს კარგავს და უკრაინამდეც კი მხოლოდ ტექნიკური წყლის მიწოდება იქნება შესაძლებელი. ამიტომაც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო მოუწოდებს ყველა მეცნიერსა და სპეციალისტს, წარმოადგინონ გონივრული ხედვები და პროექტები, რის შედეგადაც ბოთლებში ჩამოსხმის გარეშე იქნება შესაძლებელი შორ მანძილზე წყლის ექსპორტირება.

სანამ საექსპორტოდ ყველაზე მომგებიანი გზისთვის მიგვიგნია, გადასაჭრელია ქვეყნის სრულად წყალმომარაგების პრობლემა, რომელიც, მინისტრის მოადგილის აზრით, ძალიან ძვირი ჯდება და უახლოეს წლებში მიუღწეველია. "მხოლოდ კასპის მუნიციპალიტეტის ცენტრის წყალმომარაგების რეაბილიტაციას 4 მილიონ ლარზე მეტი სჭირდება, წარმოიდგინეთ, მთელი საქართველოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება რა დაჯდება?!", - ამბობს თემურ მურღულია.

გარემოს ეროვნული საგენტოს თავმჯდომარის მოადგილის, მერაბ გაფრინდაშვილის განმარტებით, ჭაბურღილებზე მონიტორინგი 1991-დან 2013 წლამდე არ ჩატარებულა: "მიწისქვეშა წყლების მარაგით უმდიდრესი ქვეყანა ვართ და არ შეიძლება, არ ვიცოდეთ, რა მდგომარეობა გვაქვს, რა რაოდენობას ვფლობთ, როგორ შეგვიძლია გავიტანოთ საერთაშორისო ბაზარზე, რით უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს მოსახლეობა. მტკნარი წყლების შესახებ მოძველებული ინფორმაცია გვაქვს და მას სჭირდება განახლება, რადგან წყალი კი არის განახლებადი რესურსი, მაგრამ მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა ბუნებაში, კლიმატის გლობალური ცვლილების გამო ატმოსფერული ნალექები აღარ ხვდება გრუნტში და შესაბამისად, წყლის საჭირო რაოდენობა აღარ გროვდება. პრობლემას ქმნის მყინვარების რეჟიმიდან გადახრა (სწრაფი დნობა) და ადამიანის მავნე ჩარევა ბუნებრივ პროცესებში. ტყის მასივები თუ არ გვექნება, ისედაც ვერ აღწევს წყალი გრუნტში და უარესი მდგომარეობა შეიქმნება, წყლის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდება. მხოლოდ დიდი ქალაქების მსხვილი წყალმომარაგების სისტემები კონტროლდებოდა. სხვა ასეულობით ჭაბურღილიდან კი არც ლაბორატორიული სინჯები კეთდება და წყალიც თვითდინებით გადმოდის, იღვრება, ვკარგავთ უდიდეს საბადოებს, ჭაობდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ვითარდება ეროზია, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე. შარშან ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით ჩავატარეთ რამდენიმე ჭაბურღილის მონიტორინგი, კახეთის ზონაში გამოსაკვლევად შეირჩა კიდევ რამდენიმე ათეული. ხდება ინვენტარიზაცია, ზოგიერთი განადგურებულია, ზოგან კი ქსელის აღდგენა შეიძლება".

საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მარაგები აღემატება 6,5 მილიონ მ3-ს დღეღამეში, ანუ 2,3 მილიარდ მ3-ს წელიწადში. ეს წყლები ბაქტერიოლოგიურად სუფთაა, არ შეიცავს ლითონებს, ქიმიური თვისებები კი აკმაყოფილებს ევროკავშირისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის უმკაცრეს მოთხოვნებს. ამ მარაგებიდან, პრაქტიკულად, მხოლოდ ბულაჩაურისა და ნატახტრის აუზებია ნაწილობრივ ექსპლუატაციაში, საქართველოს მტკნარი წყლების მარაგების 92% კი ხელმისაწვდომია ათვისებისთვის. არსებული ინფორმაციით, ევროპას სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის დასაფარად წელიწადში 120 მილიონი მ3 მტკნარი წყალი დასჭირდება, რასაც საქართველოს არსებული მარაგების მხოლოდ 5% ეყოფა.

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

„შორს არ არის ის დრო, როდესაც მტკნარი სასმელი წყალი ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება".

მეწყერი დარიალის ხეობაში

20 აგვისტოს, ღამით, ორი ადამიანი დაიკარგა მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 134-ე კილომეტრზე ჩამოწოლილი მეწყერის გამო. დარიალჰესის მშენებლობაზე მომუშავე საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეები, სავარაუდოდ, ჰესის ტექნიკურ გვირაბში ჩარჩნენ. სტიქიური უბედურების შედეგად, ასევე ჩაიხერგა რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა და დაზიანდა ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი, რომლითაც სომხეთი ბუნებრივი აირით მარაგდებოდა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 134-ე კილომეტრზე მეწყერი მეორედ ჩამოწვა. 2014 წლის 17 მაისს სტიქიურმა უბედურებამ ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 17 მაისის მსგავსად, ამჯერადაც მეწყერი ჩამოწვა დარიალის ხეობაში, მდინარეების თერგისა და დევდორაკის შეერთების უბანზე, ღვარცოფის გავლისას. მინისტრ ელგუჯა ხოკრიშვილის თქმით, დევდორაკის ხეობაში მოსული უხვი ნალექის შედეგად, მოზვავდა სამი თვის წინ მომხდარი ღვარცოფულ-მეწყერული მოვლენების შედეგად დარჩენილი ინერტული მასა:

„მყინვარზე ახალი კერები არ არის, თუმცა დარჩენილია ნაშალი მასა 17 მაისს მომხდარი სტიქიური უბედურებიდან. თუ იქნება უხვი ნალექი, მაშინ შესაძლებელია, რომ კიდევ ჩამოვიდეს ღვარცოფი, ანუ წყალში გარეული ხრეშოვანი მასა“.

სტიქიური უბუდურებით გამოწვეული ზიანის აღმოსაფხვრელად დარიალის ხეობაში ჩავიდნენ მთავრობის წევრები. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარმომადგენლის ლევან ღირსიაშვილის თქმით, ღვარცოფულმა მასამ ამოავსო თერგის კალაპოტი, რის შედეგადაც წყალი და ნაშალი მასა გადავიდა 17 მაისის შემდგომ მოწყობილ დროებით საავტომობილო გზაზე:

„გზის აღნიშნული მონაკვეთი საკმაოდ დაზიანებულია, ისევე როგორც საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე მდებარე ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. დაზიანებულია მშენებარე ჰესი, დაზიანების მასშტაბი დგინდება. ამ დროისთვის უცნობია ორი პიროვნების ადგილსამყოფელი. სტიქიის დადგომის მომენტისთვის ერთი საქართველოსა და მეორე, თურქეთის მოქალაქე, მშენებარე ჰესის ტექნიკურ გვირაბში იმყოფებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მაშველები ადგილზე არიან მობილიზებულნი და მას შემდეგ, რაც წყლის დონე გვირაბში დაიკლებს, მყისიერად დაიწყება სამძებრო-სამაშველო ოპერაცია“. 22 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ თურქეთის მოქალაქის ცხედარი იპოვეს.

ლევან ღირსიაშვილის თქმით, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აშენდა დამბა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას და საავტომობილო გზის დაცვას. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, დარიალის ხეობაში ღვარცოფი და მეწყერის ჩამოწოლა მოულოდნელი არ ყოფილა არც გეოლოგებისა და არც ეკოლოგებისთვის. გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, პროფესორ ოთარ დუდაურის თქმით, თერგისა და დევდორაკის ბუნებიდან გამომდინარე, დარიალის ხეობაში ყოველგვარი მშენებლობა - მით უფრო, მდინარის კლაპოტის შევიწროება - გაუმართლებელია და სტიქიური უბედურების მასშტაბის გაზრდის წინაპირობას ქმნის.

„დევდორაკი არის თერგის მარცხენა შენაკადი, რომელსაც აქვს ძალიან დაქანებული კალაპოტი, ხოლო მის სათავეში უხვად არის დაშლილი ქანები. ეს ქანები სიმძიმის ძალით ჩამოდის ქვევით და გროვდება. როდესაც წყალი დაგუბდება სათავეში, ეს ღვარცოფი იწყებს ქვევით მოძრაობას. ამავდროულად, დნება სათავესთან მდებარე მყინვარი. ეს წყალიც გუბდება და რაც ხეობაში მოდის, არის წყლის, ღორღის, ქვისა და ტალახის ნაკადი“ამბობს ოთარ დუდაური.

ოთარ დუდაურის თქმით, ეს ნაკადი ჩადის თერგის ხეობაში და აგუბებს მდინარეს, რაც ხშირად ხდება სტიქიური უბედურების მიზეზი. ქართველ მეცნიერებს აღრიცხული აქვთ დარიალის ხეობაში მეწყერის ჩამოწოლის შემთხვევები 1776 წლიდან:

„განსაკუთრებული კატასტროფა მოჰყვა 1832 წლის 13 აგვისტოს დევდორაკის ადიდებას. დილის 4 საათზე მოხდა ეს. 8 საათის განმავლობაში დააგუბა თერგი და კაშხალი რომ გაარღვია, ყველაფერი წალეკა, რაც გზად შეხვდა. დიდი მსხვერპლი იყო“.

თერგის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას აპროტესტებდნენ გარემოს დამცველებიც. ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, ლარსი-ჰესის სათავე ნაგებობა და დარიალ-ჰესის სადერივაციო გვირაბის პორტალი განთავსებულია მდინარეების დევდორაკისა (იმავე ამალის) და თერგის შესართავთან, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ჰესების მშენებლობა-მუშაობას, ასევე იქ დასაქმებულ პერსონალსაც.

„ადგილი, სადაც ეს ჰესები შენდება, არასწორადაა შერჩეული წინასწარი კვლევების დროს, ანუ გარემოს ზემოქმედების შეფასება ჩატარდა არასწორად და, შესაბამისად, ეს ობიექტები დაიგეგმა არასწორად. იმისათვის, რომ მაქსიმალური მოგება - ანუ, თეორიულად, მაქსიმალური სიმძლავრე - მიეღოთ, გვირაბი გააკეთეს მაქსიმალურად ქვემოთ დარიალის ხეობაში და აღმოჩნდა მდინარე დევდორაკის პირდაპირ. ამიტომაც ორჯერ დაეჯახა მეწყერი სადერივაციო გვირაბის პორტალს. ასეთი რამ ყოველთვის მოხდება“, განაცხადა ირაკლი მაჭარაშვილმა.მეცნიერთა ნაწილი ასევე აკრიტიკებს მთავრობას იმის გამო, რომ ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორია გააფართოეს თერგის ხეობის ხარჯზე, რამაც ასევე გაზარდა მდინარის შეგუბებისა და სტიქიური უბედურების რისკი. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში იმედოვნებენ, რომ მაქსიმალურად მცირე დროში მოხერხდება როგორც ორ კილომეტრზე ჩახერგილი საავტომობილო გზის გაწმენდა, ასევე გაზსადენის დაზიანებული უბნის აღდგენა.

მონატრება

ალექსანდრე (ალიკა) ტარყაშვილი

ოცწლიანი მონატრება, ოცწლიანი ცრემლი და გაუხდელი შავები. მას ალექსანდრე ტარყაშვილი ჰქვია. ახლა უკვე შევერცხლილი თმებით, დავაჟკაცებული, იმედად იდგებოდი ჩვენს გვერდით - 19 წლის ჭაბუკი რომ არ გაფრენილიყავი ანგელოზებთან. დარდი, სევდა და ნაღველი დაგვიტოვე მხოლოდ შენგან სახსოვრად. მარტოსული წახვედი ამ ქვეყნიდან, დაცარიელდა და გაცივდა შენი კერა შენგან, მაგრამ მთლად არ გაწირა ღმერთმა, არ დადუმდა, ახლა პატარა ანუკი ალამაზებს და ჯერ კიდევ შეუცნობელი თვალებით აცქერდება ირგვლივ ყველაფერს. მოვა დრო და შენი ვაჟკაცობის შესახებ მასაც მოუყვებიან, ისევე როგორც შენს ირაკლის და გიორგის, ისინი ხომ დღემდე ამაყობენ ბიძის კაიკაცობით. ჩვენ დღემდე ვამაყობთ შენით, მაგრამ მწარეა რეალობა, ძალზედ მწარე. გვიყვარხარ, გვენატრები და გვაკლიხარ.

შენი ოჯახი.

გივი ალადაშვილი

ჩვენო საყვარელო სიძევ, ჯერ წელიწადი არ გასულა, რაც შენი ტრაგიკული გარდაცვალებით გული დაგვწყვიტე. სამოცი წლის ჯანღონით სავსე ადამანი საკუთარ მანქანაში ისე დაგლეწეს, რომ 79 დღე რეამინაციაში გაატარე, მაგრამ არაფერი გეშველა. მზრუნველობა არ მოგაკლო შენმა საყვარელმა მეუღლემ გულიკომ, შენმა შვილებმა ცისმარიმ და დომიკომ, რძალმა მაკამ, სიძემ დათომ. მათი მცდელობა ამაო გამოდგა. დეკემბრის თვეში შენ სამუდამოდ გაეყარე შენს თბილსა და ტკბილ ოჯახს, დაუტოვე მათ მხოლოდ მოგონებები, მონატრების დაუკმაყოფილებელი გრძნობა და ტკივილი. შენი შვილიშვილი, შენი გიორგი სულ გახსენებს და ეალერსება შენს სურათს. 30 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. 61 წლის გახდებოდი. ამ დღეს შენს საფლავზე თავს მოვიყრით შენი ახლობლები, აგინთებთ სანთლებს, მოგიგონებთ, როგორც სიკეთით სავსეს, მშრომელ და პატიოსან ადამიანს და უფალს შევავედრებთ შენს სულს, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს და განგაწესოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენო გივი, სულ მუდამ გვემახსოვრები და არ მოგაკლებთ სანთელ-საკმეველს და ლოცვას შენი სულის საოხად.

სიდედრი ნორა, **ცოლისძმა** კაკო, **ცოლისდა** ეთერი მაჩაბლიშვილები **ოჯახებით.**



თამაზ და ნანა მანგოშვილები



27 აგვისტოს 56 წლის გახდებოდი, ჩვენო საყვარელო დედა. გვიჭირს შეგუება, რომ ველარასოდეს გნახავთ, ვერც შენ და ვერც მამას. ძალიან გვენატრებით და გვაკლიხართ. როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდით, მაშინ წახვედით ამ ქვეყნიდან. გვენატრებით თქვენს საყვარელ შვილებს, რომლებსაც ძალიან უყვარხართ.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დროც უძლური გამოდგა იმ დიდი სიყვარულის შესავსებად, რაც თქვენი წასვლით დააკლდა ჩვენს გულებს, ჩვენ მხოლოდ მოგონებები დაგვრჩენია და საფლავი, სადაც მოვალთ და ყველა დღესასწაულს ცრემლით მოგილოცავთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები, დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა, მონატრებამ, ლოცვამ და სიყვარულმა გაგინათოთ გზა სამუდამო სასუფეველში.

შენი შვილები.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ჯულიეტა გოგილაშვილს და ხათუნა ფიროსმანაშვილს მეუღლის და მამამთილის

დარვინი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

რობერტი ლეკაშვილი და მზია დემეტრაშვილი, გოგი პოპიაშვილი და ნაირა გორაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ოთარ გოჩიტაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სიცხე, ყირიმ-კონგო და ებოლა - საფრთხეები და პრევენცია

19 აგვისტოს საქართველოში ზაფხულის განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა - 41 გრადუსი. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, კვირის განმავლობაში ისევ ცხელი ამინდი იქნება, თუმცა მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმებიც. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა

მოიქცეს ადამიანი მაღალი ტემპერატურის პირობებში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ბრიფინგი გამართა. მან ასევე ისაუბრა ყირიმ- კონგოს ჰემორაგიულ ცხელებაზე და ებოლას ვირუსზე, კერძოდ კი იმაზე, თუ რამდენად საგანგაშოა ეს დაავადებები საქართველოსთვის.

ამირან გამყრელიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის რჩევები, რომელსაც ექიმები ზაფხულში, მაღალი ტემპერატურის დროს, იძლევიან, კერძოდ: სიცხეში გარეთ გამოსვლას უნდა მოერიდონ ბავშვები, მოხუცები, ორსულები და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები. რეკომენებულია მსუბუქი საკვების მიღება და ბევრი წყალი. აკრძალულია სპირტიანი სასმელები.

„სიცხეა, აუტანელი სიცხეა. ველოდებით ამინდი შეიცვალოს, მაგრამ პროგნოზი ჯერჯერობით ჩვენს სასარგებლოდ არ არის“.

გაჩნდა კითხვა, რამდენად კანონიერია მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობა. ამირან გამყრელიძის თქმით, მსგავს საკითხს კანონმდებლობა არ არეგულირებს. არსებობს მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტი - 2014 წლის 15 იანვრის მთავრობის დადგენილება.

„ჩვენთანაც და საერთაშორისო პრაქტიკაშიც არავითარი ნორმატიული აქტი ან რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ამ დროს სამსახურები ჩერდებოდეს, არ არსებობს. ჩვენთან არის ერთადერთი ნორმატიულია ქტი, რომელიც არეგულირებს, სამუშაო ადგილზე დამსაქმებელმა რა პირობები უნდა შეუქმნას დასაქმებულს, რომ მაღალმა ტემპერატურამ მისი ჯანმრთელობა არ დააზიანოს“.

გარდა ამისა, აქტუალური თემაა ყირიმ-კონგოს ვირუსი. ამ დაავადებამ წელს საქართველოში სამი ადამიანი იმსხვერპლა. ვირუსი ადამიანს, უმთავრესად, გადაეცემა ტკიპებისა და მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებისაგან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მარინა დარახველიძის თქმით, ცხოველებთან აუცილებელია რეზინის ხელთათმანებით მუშაობა, ხოლო მინდორსა თუ ვენახში დახურული ტანსაცმლის ჩაცმა.

„მოსახლეობა გამოთქვამდა პროტესტს, რომ არ იწამლება მინდვრები და ის ტერიტორიები, სადაც ეს ტკიპა არის გავრცელებული. მე მესმის, რომ გარკვეული ზომები გასატარებელია, მაგრამ მანამდე მოსახლეობას ვურჩევ, თავად მიიღონ ზომები, რომლებიც მათ აარიდებთ ამ მძიმე სნეულებით დასნებოვნებისაგან“.

კიდევ ერთი: რამდენად სახიფათოა საქართველოსთვის ვირუსი ებოლა, რომელმაც აფრიკაში 2 127 დაავადებულიდან 1 145 ადამიანი შეინირა? ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აგვისტოში ებოლას მიმდინარე ეპიდემია საერთაშორისო მნიშვნელობის საფრთხედ გამოაცხადა. ვირუსი გავრცელებულია ოთხ ქვეყანაში: ლიბერია, გვინეა, სიერა-ლეონე და ნიგერია.

ვახტანგ ჯაოშვილმა, საქართველოს ელჩმა ეთიოპიაში, ჯერ კიდევ 6 აგვისტოს მოუწოდა მოსახლეობას თავი შეიკავონ აღნიშნულ ქვეყნებში გამგზავრებისგან:

„სხვადასხვა ქვეყნებში უკვე ამოწმებენ დასავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსულ ხალხს და, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს მოვუწოდებ, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არაა, არ ეწვიონ სიერა-ლეონეს, გვინეას და ლიბერიას“.

ამირან გამყრელიძის თქმით, ებოლასგან თავის დასაცავად სათანადო ზომებია მიღებული:

„საბაჟოს და შემოსავლების სამსახურს საზღვრებზე ჰყავთ შესაბამისი პერსონალი, რომელთაც დარიგებული აქვთ სამახსოვროები. ეს სამახსოვროები ურიგდებათ ყველა ამ რისკის ქყეყნიდან შემოსულს, მათი მისამართები გადმოეცემა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს. ამ დროისთვის რისკის ქვეყნებიდან შემოსულია სულ რვა ადამიანი - შვიდი ნიგერიიდან და ერთი საქართველოს მოქალაქე, რომელიც ლიბიიდან დაბრუნდა უკან და მათ ვაკვირდებით“.

ებოლას ვირუსი ვრცელდება პირდაპირი გზით, დაავადებული ადამიანის ბიოლოგიური სითხეების მეშვეობით (სისხლი, შარდი, განავალი, ნერწყვი და სხვა გამონადენი) ან საგნებით, მაგალითად, შპრიცებით.

ებოლა არ ვრცელდება ჰაერით, საკვებითა და წყლით.

ულოცავენ!

მანანა მაჭარაშვილს!

გულით გილოცავთ თქვენი დისშვილების ნიკა ნასრაშვილისა და ნინი ხურციძის, ქეთი ნასრაშვილისა და ქრის ტორესის ბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას და ყოველივე კარგს.

მარადიული სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები

მანანა მაჭარაშვილს!
გელა ღოღელიანს!

ჩვენო მანანა! გილოცავთ ოჯახის შექმნას. მთელი გულით გვიხარია თქვენი სიხარული. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, გილოცავთ და გეფერებით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

თორნიკე და ანი ალუღიშვილებს!

ჩემო საყვარელო შვილიშვილებო, გილოცავთ უმაღლესი განათლების დასრულებას. მეამაყება, რომ შენ, ანი, სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრე, თორნიკე, შენ კი – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი. გისურვებთ წარმატებებს, თქვენი ღირსეული ადგილი დაგემკვიდრებინოთ ცხოვრებაში. იყავით ბედნიერები. ჩემო თორნიკე, ჩემო ვაჟკაცო, შენ 23 აგვისტოს 23 წელი შეგისრულდა. ოქროს დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიხარულო.

უფალი გფარავდეთ ორივეს ყველგან და ყველაფერში.

თქვენი ბებია
ზაირა ალუღიშვილი

პირადობის მოწმობა ნახევარ ფასად

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, პირადობის ახალი მოწმობა 20 აგვისტოდან ერთი თვის განმავლობაში 15 ლარად გაიცემა.

ახალი პირადობის მოწმობის აღება ფასდაკლების დაწყებამდე 30 ლარი ღირდა. ამას ემატებოდა ბიომეტრული ფოტოს ფასი, სამი ლარი, და კიდევ ერთი ლარი ბანკის მომსახურებისთვის. ოცი აგვისტოდან ოც სექტემბრამდე პირადობის მოწმობის ათ სამუშაო დღეში დამზადება, ფოტოს გადაღების ჩათვლით, 15 ლარი ეღირება, რასაც ბანკის მომსახურების საკომისიო, 50 თეთრი, დაემატება.

ფასდაკლების აქცია იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში მოქმედებს. მსურველს შეუძლია პირადობის მოწმობის გამოსაცვლელად ნებისმიერ მათგანს ესტუმროს. იმ შემთხვევაში კი, თუ მისამართის გამოცვლა გჭირდებათ, იმ ფილიალს უნდა მიმართოთ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაშიც ეს მისამართი შედის.

იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ლომიძე ამბობს, რომ მომატებული აქტიურობის გამო სამსახური მზად არის მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდეს, რაც დამატებითი რესურსის მობილიზებას გულისხმობს:

„აქამდე, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში, სხვადასხვა სეგმენტზე გათვლილი განსხვავებული ტიპის აქციები გვქონდა: საუბარი იყო პედაგოგებზე, დევნილებზე, გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებზე... თუმცა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც, ბუნებრივია, იუსტიციის სახლი აქტიურად არის ჩართული, რომ ასეთი აქციები, შეღავათიანი პირობებით, ჩვენი მოქალაქეების რაც შეიძლება დიდ ნაწილზე გავრცელდეს“.

ფასდაკლების აქციით სარგებლობა ერთი თვის განმავლობაში საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება. აქცია 20 სექტემბრამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც პირადობის მოწმობის ფასი, ჯამში, ისევ 34 ლარი იქნება.

ი ყ ი დ ე ბ ა

არასტანდარტული 5 ოთახიანი ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. N 118, კორპუსი1, იქვე მდებარე 190 კვ. მ. მიწის ფართობით. ბინა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით.
საკონტაქტო ტელ:
599 48 46 28;
557 91 45 95-გია.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 25.08		სამშაბათი 26.08		ოთხშაბათი 27.08		ხუთშაბათი 28.08		პარასკევი 29.08		შაბათი 30.08		კვირა 31.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
35 °	24 °	33 °	28 °	33 °	28 °	33 °	27 °	34 °	28 °	34 °	27 °	33 °	27 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K